

ქ.თბილისი

2017 წლის 24 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 24 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მთავარი მსაჯის კ. ჭიქაბერიძისა და მეთვალყურის ა. ნიქაბაძის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 14 ოქტომბერს, რეგიონალური ლიგის კალენდარულ მატჩზე ვანის „აიეტა“-სა და ჭიათურის „რაბის სკოლა“-ს შორის მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მატჩის მე-2 ნახევარში სათამაშო მოედანზე წარმოქმნილ კონფლიქტში ჩაერთო მასპინძელი გუნდის გულშემატკვიარი, რის გამოც სიტუაცია გახდა უმართავი და მატჩის მეთვალყურისა და მსაჯის ერთობლივი გადაწყვეტილებით თამაში აღარ გაგრძელდა და ჩაიშალა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.18, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.17 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ვანის „აიეტა“ ჩაეთვალოს წაგება და დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. ვანის „აიეტა“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.17 პუნქტი და კლუბ ვანის „აიეტა“ რეგიონალურ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/